ბრემენის (გერმანია) უნივერსიტეტის სტიპენდიები თსუ-ს დოქტორანტურის სტუდენტებისთვის

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს თსუ-ს ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის 2014 წლის შემოდგომის სემესტრში ბრემენის უნივერსიტეტში მოკლევადიანი კვლევითი სტიპენდიის მოსაპოვებლად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ თსუ-ს ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებს, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ გერმანულ (B2) ან ინგლისურ (B2) ენებს და იმყოფებიან მინიმუმ მე-3 სემესტრში!

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა სააპლიკაციო დოკუმენტების მიღება მოხდება ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე:

dfronline_de@tsu.ge

კონკურსზე ელექტრონულად დარეგისტრირების ბოლო ვადაა:
2014 წლის 15 ოქტომბერი, 12 საათი

რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი თსუ ელ-ფოსტის მისამართით!

თსუ ელ-ფოსტის მისამართთან ან პაროლთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში მიმართეთ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს!

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.2250212
TSU Department of Foreign Relations; Tel/Fax: +99532.2250212

დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც PDF-ის ფორმატში უნდა გადმოიგზავნოს ელფოსტის საშუალებით:

- ერთი რეკომენდაცია ქართულ და გერმანულ ენაზე (ნოტარიული დამოწმება არ არის საჭირო)
- დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან (ქართულ ენაზე)
- მაგისტრის დიპლომის ასლი
- პასპორტის ასლი
- მოტივაციის წერილი (გერმანულ ენაზე)
- CV (გერმანულ ენაზე)
- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტები

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ირინა გამყრელიძეს, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში
(თსუ-ს მეორე კორპუსი, მეორე სართული, ოთახი 204).